

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის ჩასატარებლად მანდატის დამტკიცების შესახებ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს

1994 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილების დანართი

მანდატი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის ჩატარებისათვის

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების გამოყენების თაობაზე 1994 წლის ივლის-აგვისტოში ხელმოწერილი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე-სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს გადაწყვეტილების და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის ჩასატარებლად მანდატის დამტკიცების შესახებ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს 1994 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილების შესაბამისად:

2. კოლექტიური სამშვიდობო ძალების შემადგენლობისათვის გამოიყოფა ძალები და საშუალებები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის ჩასატარებლად მანდატის დამტკიცების შესახებ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო გადაწყვეტილების 2. პუნქტის რეალიზაციის შესაბამისად

3. ცეცხლის შეწყვეტისა და მხარეთა დამორიშორების შესახებ ქართულ და აფხაზური მხარეების 1994 წლის 14 მაისის შეთანხმების თანახმად ქართული და აფხაზური მხარეების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების კონტროლისათვის იქმნება სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფი.

5. კოლექტიურ სამშვიდობო ძალებსა და სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფს ეკისრებათ ამოცანები, რომელიც გათვალისწინებულია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების გამოყენების შესახებ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი-სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებით.

კოლექტიურ სამშვიდობო ძალებს და სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფს კონფლიქტის ზონაში ოპერაციის განხორციელებისას შეუძლიათ გადაწყვიტონ სხვა ამოცანებიც ამ ძალების სარდლის გადაწყვეტილებით და მისი პირადი პასუხისმგებლობით ორივე კონფლიქტურ მხარის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, ამასთან ხელმძღვანელობენ რა დაპირისპირებულ მხარეებს შორის მშვიდობის უზრუნველყოფისა და განმტკიცების მისწრაფებით.

6. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების სარდალი (შემდგომში - სარდალი) ექვემდებარება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს იმ საკითხებზე, რომელნიც ოპერატიულ გადაწყვეტას მოითხოვენ, ის კონსულტაციებს გადის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე-სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების საბჭოს თავმჯდომარესთან, ახორციელებს სამშვიდობო ოპერაციის ჩატარების უშუალო ხელმძღვანელობას და არის პირდაპირი უფროსი კოლექტიური სამშვიდობო ძალების მთელი პირადი შემადგენლობისათვის.

(...)

8. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალებისა და სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფის მართვისათვის სარდალთან იქმნება გაერთიანებული სარდლობა (გაერთიანებული შტაბი) დაცვის, კავშირგაბმულობის, უზრუნველყოფისა და მომსახურების განყოფილებათა ერთად, რომელსაც გამოყოფენ ამ მანდატის 2. და 3. პუნქტში მითითებული სახელმწიფოების შეიარაღებული ძალები...

გაერთიანებული შტაბისა და უზრუნველყოფის განყოფილების სტრუქტურას გამსაზღვრავს სარდალი. მას უფლება აქვს გამოყოფილი რიცხოვნობის ფარგლებში საჭირო ცვლილება შეიტანოს შტაბის სტრუქტურაში.

9. კოლექტიური სამშვიდობო ძალების სარდლის ფუნქციებში შედის:

კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის ჩასატარების თაობაზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს გადაწყვეტილებათა რეალიზაციის უზრუნველყოფა;

მოხსენებების წარდგენა სახელმწიფოთა მეთაურებისა და თავდაცვის მინისტრებისათვის კონფლიქტში მონაწილე მხარეების მიერ ცეცხლის შეწყვეტისა და ჯარების გაყვანის თაობაზე შეთანხმებების შესრულების შესახებ;

კოლექტიური სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობა კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის მომზადებისა და ჩატარებისას;

კოლექტიური სამშვიდობო ძალებს დაქვემდებარებული შტაბების, ნაწილებისა და ქვედანაყოფების ოპერატიული და საბრძოლო მომზადების ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა;

ურთიერთქმედების დამყარება და შენარჩუნება მიმდები სახელმწიფოს ხელმძღვანელობასთან, კონფლიქტის მხარეებთან, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე-სახელმწიფოთა თავდაცვის სამინისტროებთან და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან, კონფლიქტის ზონაში გაეროს, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან;

მოლაპარაკებების წარმოება კონფლიქტის მხარეების წარმომადგენლებთან;

კავშირის, კონფლიქტის მხარეების წარმომადგენელთა შორის ოფიციალური შეხვედრების და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

კოლექტიური სამშვიდობო ძალების უზრუნველსაყოფად გამოყოფილი საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური სახსრების განკარგვა.

(...)

[\(Сборник документов, касающихся вопроса урегулирования конфликта в Абхазии, Грузия, принятых в период 1992 по 1999 г.г., составитель Г. Уридия, Тб., 1999, г.г. 44-46. საკუთარი თარგმანი\)](#)